ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.03.2016
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/16

შეკითხვა:

რამდენად ეთიკურად მოიქცევა ადვოკატი და დაირღვევა თუ არა კოლეგიალობის პრინციპი, თუ ის სასამართლოში დაიცავს თავისი კლიენტის ინტერესებს ადვოკატის წინააღმდეგ, ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“.

ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვა კოლეგის მიმართ პატივისცემის და ღირსების შელახვის გარეშე, პროფესიული ვალდებულებების დაცვის შესაბამისად მოქმედებას გულისხმობს.

ადვოკატს შეუძლია წარმოადგინოს თავისი კლიენტის ინტერესები ადვოკატის წინააღმდეგ, მათ შორის ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრიცნიპის დარღვევას.

დასკვნა:

ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების შესაბამისად, წარმომადგენლობის განხორციელება მეორე ადვოკატის წინააღმდეგ, არ წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.